საინფორმაციო ბარათი
მატარებლის მემანქანეებისთვის

rta.gov.ge

1
2

ვინ არის მატარებლის მემანქანე?

პირი, რომელსაც აქვს **მემანქანის მართვის მოწმობა და მემანქანის სერტიფიკატი** და შეუძლია დამოუკიდებლად, უსაფრთხოდ და შესაბამისი პასუხისმგებლობით მართოს მატარებელი, მათ შორის, ლოკომოტივი, სამანევრო ლოკომოტივი, ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობა, სპეციალური თვითმავალი მოძრავი შემადგენლობა, სამეურნეო მატარებელი, მოვლა-შენახვისთვის განკუთვნილი სარკინიგზო მანქანა-მოწყობილობა და მატარებელი, რომელიც განკუთვნილია მგზავრთა გადასაყვანად/ტვირთის გადასაზიდად;

რა არის მატარებლის მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები?

რკინიგზის სისტემაში მართვის უფლება აქვს მხოლოდ იმ მემანქანეს, რომელიც ფლობს მართვის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებს: - **მემანქანის მართვის მოწმობას და მემანქანის სერტიფიკატს.**

რა არის და ვინ გასცემს მემანქანის მართვის მოწმობას?

მემანქანის მართვის მოწმობა ადასტურებს, რომ მემანქანეს აქვს ძირითადი პროფესიული უნარ-ჩვევები, შესაბამისი განათლება და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

მემანქანის მართვის მოწმობას გასცემს სსიპ - **სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტო**

რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს პირი, რომელსაც სურს მიიღოს მემანქანის მართვის მოწმობა?

პირი უნდა იყოს 18 წლის, ან მეტის, მიღებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი პროფესიული განათლება სააგენტოს მიერ აღიარებულ სასწავლო ცენტრში და ჩააბაროს მართვის მოწმობის მისაღები გამოცდა, აგრეთვე, უნდა აკმაყოფილებდეს ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

რას გულისხმობს მემანქანეთა პროფესიული განათლება და აღიარებული სასწავლო ცენტრი?

მემანქანეთა პროფესიული განათლება გულისხმობს პირის მიერ **შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლას,** სააგენტოს მიერ აღიარებულ სასწავლო ცენტრში.
სააგენტო სასწავლო ცენტრის სტატუსს მიანიჭებს იმ **პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას,** რომელიც ავტორიზებულია და ახორციელებს მემანქანეთა პროფესიულ სწავლებას.



რა ფორმატში ტარდება მემანქანის მართვის მოწმობის მისაღები გამოცდა?

მემანქანის მართვის მოწმობის მისაღები გამოცდა ტარდება სააგენტოში, ქართულ ენაზე, თეორიულ ნაწილში ტესტირებით, ელექტრონულ ფორმატში.

როგორ უნდა დავრეგისტრირდეთ მემანქანის მართვის მოწმობის მისაღებ გამოცდაზე?

იმისათვის რომ პირი დაიშვას მართვის მოწმობის მისაღებ გამოცდაზე, აუცილებელია სააგენტოში წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ფოტოსურათი;
- სააგენტოში მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

რა პირობით და რა ვადით გაიცემა მემანქანის მართვის მოწმობის დოკუმენტი?

მართვის მოწმობის მისაღები გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, პირმა **სააგენტოში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

- პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- მემანქანის ჯანმრთელობის ცნობა;
- სააგენტოში მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

განმცხადებელმა მართვის მოწმობის მიღების მოთხოვნით, **სააგენტოს უნდა მიმართოს მემანქანის მართვის მოწმობის გამოცდის წარმატებით ჩაბარებიდან არაუგვიანეს 12 თვისა.** თუ პირი აღნიშნულ ვადაში არ მიმართავს სააგენტოს მართვის მოწმობის დამზადების მოთხოვნით, მან ხელახლა უნდა ჩააბაროს მართვის მოწმობის გამოცდა.

მემანქანის მართვის მოწმობა გაიცემა ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენიდან **30 კალენდარული დღის ვადაში.**

მართვის მოწმობის **მოქმედების ვადაა მისი გაცემიდან 10 წელი.**

შესაძლებელია თუ არა მართვის მოწმობის მოქმედების ვადის გაგრძელება?

მემანქანემ, მართვის მოწმობის მოქმედების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 30 კალენდარული დღით ადრე, სააგენტოში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- პასპორტი ან პირადობის დამადასტურებელ მოწმობის ასლი;
- ჯანმრთელობის ცნობა;
- ახალი ფოტოსურათი;
- სააგენტოში მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- მოქმედი მართვის მოწმობა.

შესაძლებელია თუ არა მემანქანის მართვის მოწმობის აღდგენა, როდესაც მართვის მოწმობა დაზიანდა, განადგურდა ან დაიკარგა?

მემანქანემ მართვის მოწმობის აღსადგენად სააგენტოში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ჯანმრთელობის ცნობა (ასეთის საჭიროების შემთხვევაში პერიოდულობის დაცვის შესაბამისად);
- ახალი ფოტოსურათი;
- სააგენტოში მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- მართვის მოწმობა იმ შემთხვევაში, როდესაც მართვის მოწმობის აღდგენის მოთხოვნა განაპირობა მართვის მოწმობის დაზიანებამ.

შესაძლებელია თუ არა მემანქანის მართვის მოწმობაში ცვლილების შეტანა?

მართვის მოწმობაში ცვლილების შეტანა ხდება, როდესაც მართვის მოწმობაში არსებული მონაცემები არასწორია ან როდესაც მართვის მოწმობაში ასახული მონაცემები საჭიროებს განახლებას (მაგალითად, მემანქანის სახელისა და გვარის ცვლილებისას ან სხვა შემთხვევაში) ასეთ შემთხვევაში **მემანქანე სააგენტოში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

- პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ჯანმრთელობის ცნობა (ასეთის საჭიროების შემთხვევაში პერიოდულობის დაცვის შესაბამისად);
- ახალი ფოტოსურათი;
- სააგენტოში მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

rta.gov.ge

შესაძლებელია თუ არა მემანქანის მართვის მოწმობის მოქმედების შეჩერება/გაუქმება?

შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

- ინსპექტირების/მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი **მემანქანის შეუსაბამობა კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან,** რაც საფრთხეს უქმნის სარკინიგზო უსაფრთხოებას;

- მემანქანის მიერ მართვის მოწმობის მისაღებად **წარდგენილია ყალბი დოკუმენტაცია;**

- **გამოვლინდა სამედიცინო მოთხოვნებთან დაკავშირებული შეუსაბამობა;**

- **პერიოდული სამედიცინო შემოწმების სიხშირის** გათვალისწინებით, დარღვეულია დადგენილი ვადები;

- ინსპექტირების ფარგლებში გამოვლენილია შეუსაბამობა, რაც დაკავშირებულია **სამუშაო პროცესში ალკოჰოლური/ნარკოტიკული ან სხვა ისეთი ნივთიერების გამოყენებასთან,** რაც იწვევს მემანქანის კონცენტრაციის დაქვეითებასა და ქცევის ცვლილებას;

- სასამართლოს მიერ **სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესულია გამამტყუნებელი განაჩენი მემანქანის მიმართ,** რომლითაც პირს ჩამოერთვა მემანქანედ საქმიანობის უფლება ან ჩადენილი დანაშაული იწვევს გონივრულ ეჭვს მემანქანის მიერ მისი საქმიანობის შესრულების შესაბამისობასთან ან/და სარკინიგზო სისტემის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით;

- **მოკვლევის ბიუროს ანგარიშის საფუძველზე დადგინდა,** რომ სერიოზული სარკინიგზო შემთხვევა განპირობებული იყო მემანქანის მიზეზით, დაუდევრობით ან სამუშაოს მიმართ გულგრილობით;

- ისეთი სარკინიგზო შემთხვევის ან/და სერიოზული სარკინიგზო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, რომელშიც **იკვეთება მემანქანის პასუხისმგებლობა, სარკინიგზო უსაფრთხოებისთვის** შექმნილი რისკების გათვალისწინებით.

მემანქანის მართვის მოწმობის დოკუმენტის ძაღლაში დარჩენისათვის რა სახის პერიოდული შემოწმების გავლაა საჭირო?

მოქმედი მართვის მოწმობის შენარჩუნების მიზნით, მართვის მოწმობის მფლობელს უნდა ჩაუტარდეს პერიოდული სამედიცინო შემოწმება.

პერიოდული სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს მინიმუმ 3 წელიწადში ერთხელ 55 წლის ჩათვლით ასაკის პირებისთვის, ხოლო ყოველწლიურად - 55 წელს ზემოთ მყოფი პირების შემთხვევაში.



რა არის და ვინ გასცემს მემანქანის სერტიფიკატს?

სარკინიგზო საწარმოს ან ინფრასტრუქტურის მენეჯერის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია შესაბამისი ინფრასტრუქტურა (ინფრასტრუქტურის მონაკვეთი) და მოძრავი შემადგენლობა, რომლებზედაც ამ დოკუმენტის მფლობელს აქვს მატარებლის მართვის უფლება.

სერტიფიკატს გასცემს და მისი მოქმედების ვადას განსაზღვრავს მემანქანის დამსაქმებელი სარკინიგზო საწარმო/ინფრასტრუქტურის მენეჯერი.

როგორ მივიღოთ მატარებლის მემანქანის სერტიფიკატი?

სერტიფიკატის მოსაპოვებლად განმცხადებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა ფლობდეს მოქმედ მემანქანის მართვის მოწმობას.
- უნდა გაიაროს სასერტიფიკატო სწავლება და ჩააბაროს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული გამოცდა, იმ მოძრავ შემადგენლობასთან და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, რომელზედაც გაიცემა მემანქანის სერტიფიკატი.

რას გულისხმობს და საღ შეიძლება გავიაროთ სასერტიფიკატო სწავლება?

სასერტიფიკატო სწავლება გულისხმობს იმ **კონკრეტული მოძრავი შემადგენლობის და იმ კონკრეტული ინფრასტრუქტურის მონაკვეთის სასერტიფიკატო სწავლებას** (მარშრუტის პირობების ცოდნის, ექსპლუატაციის წესებისა და პროცედურების ჩათვლით) რომელზედაც პირს სურს მიიღოს მემანქანის სერტიფიკატი.

პირისათვის **სასერტიფიკატო სწავლების გავლას უზრუნველყოფს მემანქანის დამსაქმებელი** სარკინიგზო საწარმო ან ინფრასტრუქტურის მენეჯერი.

რას გულისხმობს სასერტიფიკატო გამოცდა და ვინ ატარებს მას?

სასერტიფიკატო გამოცდის ორგანიზებას უზრუნველყოფს სარკინიგზო საწარმო ან ინფრასტრუქტურის მენეჯერი, მას შემდეგ რაც პირი დაასრულებს სასერტიფიკატო სწავლებას. სასერტიფიკატო გამოცდის ფარგლებში მართვის პრაქტიკული უნარების შეფასება უნდა მოხდეს რკინიგზის ქსელში რეალურ გარემოში გამოცდისას. **სასერტიფიკატო გამოცდას ატარებს სააგენტოს მიერ აღიარებული გამომცდელი.**

ვინ არის სააგენტოს მიერ აღიარებული გამომცდელი და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს პირი, რომ მიიღოს აღიარებული გამომცდელის სტატუსი?

გამომცდელი არის პირი, რომელიც ფლობს მემანქანის მოქმედ მართვის მოწმობას და მემანქანის მოქმედ სერტიფიკატს, რომელსაც შესაბამისი კომპეტენციის დადასტურების შემდეგ სააგენტო მიანიჭებს გამომცდელის სტატუსს.

რა დოკუმენტებია საჭირო მატარებლის მემანქანის სერტიფიკატის მისაღებად?

თითოეულმა სარკინიგზო საწარმომ და ინფრასტრუქტურის მენეჯერმა, უსაფრთხოების მართვის სისტემის ფარგლებში, უნდა განსაზღვროს საკუთარი **წესები და პროცედურები სასერტიფიკატო სწავლების, სერტიფიკატის გაცემის, განახლების, შეჩერებისა და გაუქმებისათვის, ასევე, გასაჩივრების პროცედურა,** რომელიც შესაძლებლობას მისცემს მემანქანეს, მოითხოვოს სერტიფიკატის გაცემასთან, განახლებასთან, შეჩერებასა და გაუქმებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გადახედვა.

შესაძლებელია თუ არა მემანქანის სერტიფიკატის განახლება?

სერტიფიკატის განახლება უნდა მოხდეს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც **სერტიფიკატის მფლობელი მოიპოვებს კომპეტენციას დამატებით მოძრავ შემადგენლობაზე ან ინფრასტრუქტურაზე,** სარკინიგზო საწარმომ და ინფრასტრუქტურის მენეჯერმა დაუყოვნებლივ უნდა განაახლონ სერტიფიკატი და აღნიშნული ცვლილება ასახონ სერტიფიკატების რეესტრში.

რა კატეგორიებად იყოფა მემანქანის სერტიფიკატი?

სერტიფიკატი იყოფა შემდეგ კატეგორიებად და ქვეკატეგორიებად:

კატეგორია A: სამანევრო ლოკომოტივები, სპეციალური თვითმავალი მოძრავი შემადგენლობები, სამეურნეო მატარებლები, მოვლა-შენახვისთვის განკუთვნილი სარკინიგზო მანქანა-მოწყობილობები და სხვა ლოკომოტივები, როდესაც მათი გამოყენება ხდება სამანევრო სამუშაოების ჩასატარებლად.

A1 - სამანევრო ლოკომოტივები;

A2 - სამეურნეო მატარებლები;

A3 - სპეციალური თვითმავალი მოძრავი შემადგენლობები და მოვლა-შენახვისთვის განკუთვნილი სარკინიგზო მანქანა-მოწყობილობები;

A4 - სხვა ლოკომოტივები, რომლებიც გამოიყენება მანევრირებისთვის;

A5 - სხვა, როდესაც შესაბამის საქმიანობას ან მოძრავ შემადგენლობას არ მოიცავს ზემოთ ჩამოთვლილი ქვეკატეგორიები.

კატეგორია B: მგზავრების გადაყვანა ან/და ტვირთების გადაზიდვა.

B1 - მგზავრთა გადაყვანა;

B2 - ტვირთების გადაზიდვა.

შესაძლებელია თუ არა რამდენიმე კატეგორიის ან ქვეკატეგორიის მემანქანის სერტიფიკატის ფლობა?

სერტიფიკატი შესაძლოა, მოიცავდეს ერთ ან რამდენიმე კატეგორიას/ქვეკატეგორიას, თითოეული კატეგორიისათვის/ქვეკატეგორიისთვის განკუთვნილი შესაბამისი კოდის/კოდების მითითებით.

როდესაც მატარებლის მემანქანე ტოვებს დამსაქმებელ სარკინიგზო საწარმოს ან ინფრასტრუქტურის მენეჯერს, ძალაში რჩება თუ არა მემანქანის სერტიფიკატი?

როდესაც სერტიფიკატის მფლობელი წყვეტს სარკინიგზო საწარმოსთან ან ინფრასტრუქტურის მენეჯერთან მემანქანედ მუშაობას, შესაბამისმა სარკინიგზო საწარმომ ან ინფრასტრუქტურის მენეჯერმა ამის შესახებ ცვლილებები უნდა ასახოს სერტიფიკატების რეესტრში. **ასეთ შემთხვევაში, სერტიფიკატი წყვეტს მოქმედებას, ხოლო მართვის მოწმობა ძალაში რჩება,** თუ არ ირღვევა კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა პირობები. აგრეთვე, სერტიფიკატის მფლობელს შეუძლია მიიღოს როგორც სერტიფიკატის, ისე ყველა სხვა დოკუმენტის ასლი, რომელიც ადასტურებს სერტიფიკატის მფლობელის მიერ სწავლების გავლას, კვალიფიკაციას, გამოცდილებასა და პროფესიულ უნარებს.

როდესაც მემანქანე იცვლის დამსაქმებელს, ახალი სერტიფიკატის მისაღებად საჭიროა თუ არა ხელახლა სასერტიფიკატო სწავლების გავლა?

მემანქანის მიერ სხვა სარკინიგზო საწარმოს ან ინფრასტრუქტურის მენეჯერთან სამსახურის ცვლილების შემთხვევაში, მემანქანის ახალი დამსაქმებელი სერტიფიკატის გაცემისას, **უფლებამოსილია გაითვალისწინოს და არ მოსთხოვოს სასერტიფიკატო სწავლების ხელახლა გავლა იმ მემანქანეს რომლის სერტიფიკატის ასლის მონაცემებიც** ადასტურებს მემანქანის მიერ გავლილ სასერტიფიკატო სწავლებას, ცოდნასა და კომპეტენციას.

მემანქანის სერტიფიკატის ძალაში დარჩენისათვის რა სახის პერიოდული შემოწმების გავლაა საჭირო?

მოქმედი სერტიფიკატის შენარჩუნების მიზნით, **აუცილებელია მემანქანის მოქმედი მართვის მოწმობის დოკუმენტის ფლობა.** მემანქანის დამსაქმებელი სარკინიგზო საწარმო ან ინფრასტრუქტურის მენეჯერი ვალდებულია **მემანქანეს ჩაუტაროს პერიოდული გამოცდები** სასერტიფიკატო სწავლების ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების შემოწმების მიზნით.

მემანქანის გამოცდების **სიხშირეს განსაზღვრავს დამსაქმებელი საკუთარი უსაფრთხოების მართვის სისტემის შესაბამისად. გამოცდების სიხშირე არ უნდა აღემატებოდეს: ინფრასტრუქტურის ცოდნასთან და მოძრავი შემადგენლობის ცოდნასთან მიმართებით 3 წელს** ან თუ შესაბამის მარშრუტზე მემანქანეს არ უმუშავია - მინიმუმ 1 წელს;

როგორ და რა ვადაში მიიღებენ მოქმედი მემანქანეები მართვის მოწმობას და სერტიფიკატს?

წესის ამოქმედებამდე განსაზღვრულია **გარდამავალი პერიოდი,** რომლის დროსაც დაწესებულია **საშეღავათო პირობები** იმ პირთათვის, რომლებიც **2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სარკინიგზო საწარმოში ან ინფრასტრუქტურის მენეჯერთან დასაქმებულნი არიან:**

- მატარებლის მემანქანედ (მათ შორის დრეზინის მძღოლი) ან მემანქანე-ინსტრუქტორად;
- მემანქანის თანაშემწედ და ფლობენ სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ 2025 წლის 1 იანვრამდე გაცემულ მართვის უფლების დამადასტურებელ მოწმობას.

აღნიშნულმა პირებმა **სააგენტოში 2025 წლის 1** აპრილამდე უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- დამსაქმებლის მიერ გაცემული ცნობა;
- ზოგადი, პროფესიული ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

- მემანქანის ჯანმრთელობის ცნობა, ან დამსაქმებელთან წარდგენილი სამედიცინო შემოწმების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. (აღნიშნული დოკუმენტის გაცემიდან 55 წლის ასაკის ჩათვლით მყოფი პირების შემთხვევაში არ უნდა იყოს გასული 3 წელზე მეტი, ხოლო 55 წელს ზემოთ მყოფი პირების შემთხვევაში - 1 წელზე მეტი.);
- პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ფოტოსურათი;
- დამსაქმებლის ან სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ გაცემული ცნობა, იმის თაობაზე თუ რომელ მოძრავ შემადგენლობასა და ინფრასტრუქტურასთან მიმართებით ფლობს მემანქანე მართვის უფლებას;
- მემანქანის თანაშემწეებმა დამატებით - სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ გაცემული მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, მოქმედი მემანქანეები უსასყიდლოდ მიიღებენ მემანქანის მართვის მოწმობას არაუგვიანეს 2025 წლის 1 ივნისამდე.

სარკინიგზო საწარმომ ან/და ინფრასტრუქტურის მენეჯერმა **2025 წლის 1 სექტემბრამდე უნდა უზრუნველყონ მათთან დასაქმებული მემანქანეებისათვის შესაბამისი კატეგორიის/ქვე-კატეგორიის სერტიფიკატის გაცემა.**

სხვა საშეღავათო პირობები წესის გარდამავალი დებულებების მიხედვით

2025 წლის 31 დეკემბრამდე მართვის მოწმობის მისაღებ გამოცდაზე, სააგენტოს მიერ აღიარებული სასწავლო ცენტრის მიერ გაცემული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე დაიშვება პირი, რომელიც 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

- დასაქმებულია სარკინიგზო საწარმოში ან/და ინფრასტრუქტურის მენეჯერთან მემანქანის თანაშემწის პოზიციაზე;
- ფლობს სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ გაცემულ მატარებლის მართვის მოწმობას;
- ფლობს მატარებლის მართვასთან დაკავშირებულ პროფესიულ ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს სარკინიგზო ტრანსპორტის ელექტრომექანიკოსის მიმართულებით.

ამ პირებმა მართვის მოწმობის მისაღებ გამოცდაზე დასაშვებად სააგენტოში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ცნობა სამუშაო ადგილიდან; (არსებობის შემთხვევაში)
- მართვის მოწმობის ასლი; (არსებობის შემთხვევაში)
- ტრანსპორტის ელექტრომექანიკოსის მიმართულებით მატარებლის მართვასთან დაკავშირებული პროფესიული ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; (არსებობის შემთხვევაში)
- მემანქანის ჯანმრთელობის ცნობა, ან დამსაქმებელთან წარდგენილი სამედიცინო შემოწმების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. ამასთან, აღნიშნული დოკუმენტის გაცემიდან 55 წლის ასაკის ჩათვლით მყოფი პირების შემთხვევაში არ უნდა იყოს გასული 3 წელზე მეტი, ხოლო 55 წელს ზემოთ მყოფი პირების შემთხვევაში -1 წელზე მეტი;
- პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ფოტოსურათი;
- სააგენტოში მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების
სამინისტრო

სსიპ სარკინიგზო
ტრანსპორტის სააგენტო